ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების გავლენა კავკასიის რეგიონზე

გიორგი უსანეთაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე, პროფესორი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი უსანეთაშვილი, 16 ივლისი 2017 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის დაწერის ძირითად მიზანს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური და სამხედრო მოვლენების შესაძლო გავლენა კავკასიის რეგიონზე, მათ შორის საქართველოზე, როგორც სამხედრო პოლიტიკური რისკების, ასევე ტერორისტული საფრთხეების გათვალისწინებით. ნაშრომში ჩატარაბული ანალიზის თანახმად იკვეთება, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში შექმნილმა სამხედრო-პოლიტიკურმა დაპირისპირებამ საფრთხე შეუქმნა მსოფლიოს უსაფრთხოებას, გამოიწვია სახელმწიფო ინსტიტუტების შესუსტება და ზოგიერთი ქვეყნის პრაქტიკული დაშლა, რამაც თავის მხვრივ ნიადაგი შეუქმნა რეგიონში ტერორისტული აქტივობების განვითარებას. ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ „ურწმუნოებთან“ ბრძოლა გასცდა რეგიონის საზღვრებს და დღეს ის ახორციელებს ტერორისტულ თავდასხმებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ორგანიზაცია აქტიურად გამოიყენებს მის რიგებში მებრძოლი უცხო ქვეყნის მუსლიმ მებრძოლეებს, მათივე ქვეყნებში ტერორისტული აქტების მოსაწყობად.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ დამარცხებაში და მისი ხელახლა შექმნის თავიდან აცილებაში მთავარ როლს თამაშობს ცენტრალური ხელისუფლების ეფექტური მოქმედება. ისლამური რადიკალიზმის მიზეზები კავკასიაში გამოწვეულია მოსახლეობის რთული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით, მათი განათლების დონე და ვაჰაბიზმის ქადაგება სოფლებსა და ქალაქებში აქცევს ამ მოსახლეობას რადიკალური ისლამიზმის პროპაგანდისტული ჯგუფების სამიზნედ. აღნიშნული საკითხი კი თავის მხრივ, შეიძლება გახდეს პოლიტიკური სპეკულაციებისა და შანტაჟის საფუძველი რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ახლო აღმოსავლეთის რეგიონი, კავკასიის რეგიონი, „ისლამური სახელმწიფო“, ისლამი, რადიკალიზმი, ვაჰაბიზმი, უცხოელი მებრძოლები.

Abstract

The main purpose of the present paper is the possible influence of the ongoing political and military situation at the Middle East Region both as political-military as well as terrorism threat on Caucasus Region, including Georgia. Based on the analysis conducted in the paper, the political-military confrontation in the Middle East Region created a threat to the security worldwide, caused weakening of Governmental institutions and in some cases even collapse of the countries, which put a basis for activation of terrorism activities in the region. The activities of the terrorist organization “Islamic State” on punishing the infidels crossed the borders of the region and today the organization commits terrorist attacks all over the globe. The organization actively uses its Muslim foreign fighters for committing terrorist attacks in their home countries.

Active and effective operation of the Governmental institutions plays the core role in defeating the “Islamic State” and prevention from its further development and reshaping. One of the main reasons of the Islamic radicalization in Caucasus is a weak social-economic situation, educational level of the population and preaching of Wahabiism, making the population vulnerable against Islamism propaganda and may become a basis for political speculations and pressure from the Russian Federation against Georgia.

Key Words: Middle East region, Caucasus Region, “Islamic State”, Islam, Radicalization, Wahabiism, Foreign Fighters.

მადლობა

აღნიშნული ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც კვლევის პროცესში არაერთი სასარგებლო რჩევა მომცა.

განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს პროფესორ გიორგი სანიკიძეს, რომელმაც თავისი კრიტიკული მოსაზრებებით, რჩევებით და წინადადებით მნიშვნელოვანი დახმარება აღმომიჩინა კვლევის ყველა ეტაპზე. ასევე, მადლობა მინდა ვუთხრა თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის დეკანს, პროფესორ თინათინ ქაროსანიძეს; ექსპერტს, აღმოსავლეთმცოდნეს, ბატონ სიმონ გურეშიძეს და საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის დამფუძნებელს ბატონ ნოდარ ხარშილაძეს.